

სამუშაო ქვეყნის მოღვაწეები.

# კლატონ იოსელიანი



Т и ф л и с ь

Типографія М. Д. Ротиніанца, Гол. пр., соб. д. № 41.

1893.





სამუბლო ქვეყნის მოღვაწეები.

# კლათონ იოსელიანი

39254



Тифлисъ

Типографія М. Д. Ротиніанца, Гол. пр., соб. д. № 41.  
1893.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Мая 1893 года.



## ზღაგონ იოსელიანი.

ქართულს ისტორიულს მწერლობაში ზღაგონ იოსელიანს ერთ დროს დიდი ადგილი ეკავა. ეს ცნობილი პირი იყო მთელს საქართველოში, ამის სასულს ბევრი ქართველი იცნობდა. ქართველნი დიდთ აფასებდენ ამის შრომა-მეც დინეობას. საქმე ასე წავიდა, რომ ზღაგონ იოსელიანს ფილოსოფი უწოდეს. გრ. რწმელებანიც ასე ეტყოდნა ხალხე მას:—ზღაგონ ფილოსოფო, მოსუთუვედი. ეს მიუგებდა: რას მდივნობს ზღაგონა! და სხვანი. ზ. იოსელიანმა ეს სახელწოდება იმ დროის ქართველებისაგან მიტომა მიიღო, რადგანაც ამას სპირდ უყვრდა საუბარი საღმრთო საგნებზე. ეს იყო ნამდვილი ძვთის მეტყველი, მართლ-მადიდებელის ეკკლესიის წესების მტკიცეთ აღმსრულებელი, საკვირველ მოქმედებთა დიდად მღვდლებელი, დიდი მლოცველი, მწსველი და საქართველოს ეკკლესიის ისტორიისაგან აქა იქ მოსაწილე და პატივის-მცემელი. ეს პირი თავის დროის ქართველებში ერთ ისეთ გულ მსურვალე მართლ-მადიდებელ ჭეშმარიტ ქრისტიანეთ ითვლებოდა, რომლის მსგავსაც არამც თუ მის თანამედროვე ერის ხალხში, არამედ თვით სასულიერო წოდებაშიაც კი ვერ ვხვდებით. სწორეთ ეს იყო მის უმთავრეს მიზეზათ, რომ ღარბ იდიანების მექონ საღმრთო მეტყველმა ფილოსოფის სახელი დაიმკვიდრა, თორემ სულ ბარათაშვილი და ნ. ბუჩქენიკი იოსელიანს არაფრით ჩამოუწიებოდნენ, მაგრამ ამთ კი იოსელიანის სახელის მეტე-



დიც ვერ დაიმსახურეს, ეს მოხდა სულ ზემოხსენებულის მი-  
სესებისაგან.

საქართველოს გარდა ვ. იოსელიანს აქა იქ რუსეთშიაც  
იცნობდენ, იცნობდენ როგორც ნამდვილს და ერთ გულს  
ოფიციალურს ვიხს, ძველის მოყვარეს, მართლ-მადიდებელ  
ეკკლესიის ისტორიის კარგად მცოდნეს, მღვთის მოყვარეს,  
კავკასიის და განსაკუთრებით საქართველოს ერის ისტორიის  
მცოდნეს. გარდა ამისა იგი იყო წვერი საბერძნეთის ანტიკ-  
ლოგიური საზოგადოებისა, ბერლინის საზოგადოებისა, ვანი-  
უის, ჰეტეროურგის, მოსკოვის, კიევის, ადესის და სხვების.  
ბევრი ამბობდენ და ამბობენ კიდევაც, რომ ვ. იოსელიანი  
მართალია ამ საზოგადოებათა წევრათ ითვლებოდათ, მაგრამ იგი  
არ იყო მეისტორიე, იგი იყო უბრალო ცნობების მკრები და  
მბეჭდავიო. ჩვენც ამ ჭყინისა ვართ, მაგრამ იმასაც ვიტყვიოთ,  
რომ ვ. იოსელიანამდე ჩვენ ერთი პირიც არ გამოგვსვლია  
ასეთი საეკლესიო პატრიოტ მეისტორიესი, რომელსაც ისე  
გულ მსურვალეთ ეძუშავნოს საქართველოს ისტორიისათვის  
და ნამეტურ ჩვენთა ძველთა მამათა და ეკკლესიისათვის, რო-  
გორც ვ. იოსელიანმა იძუშავა. ეს ყველა თავისზე წინათ ყო-  
ფილ ქართველ ისტორიულ ცნობების მკრებაც მბეჭდავებზე  
მაღლა სდგას. ამაში ამას ცალი არავინ ჭყავს. უამის შრომით  
ვერც ბროსე გააწყოდა რამეს, ვერც ბაქრაძე, ბარათაშვილი და  
ძრავალნიც სხვანი. ქართულს მწერლობაში და ისტორიის ასა-  
რებსზე ეს ისეთ პირათ ითვლება, რომლის სახელის უბრალოდ  
ხსენება ცოდვა იქნება. ბევრს ნულოვანიებასთან ამას ძრაველ  
ბევრი დიდი დიხსებაც აქვს, მეტათ დიდათ ვტივ საცემ მს-  
რებიც და სხვანი.

რუსის გამოჩენილი კრიტიკოსი ბელინსკი ერთსელ კა-  
რამზინის შრომას შეესო, იქ მცირეთ კარამზინის დიხსებასა  
და ბიოგრაფიასაც ისაუბრა. ამას ნათქვამი აქვს, „კარამზინი



რ დგანაჯ უკვლას თავისზე წინათ ულოდილ რუსის მეისტორიებზე  
 მალა სდგასო, ამიტომ ჩვენ მას პატივი უნდა მივაგოთ, რაც  
 უნდა ნაკლუდეკანება ჰქონდეს, მაინც იგი ავით მოსახსენებე-  
 ლი არ უნდა იყოსო“. ასე იყო წინეთ რუსულს მწერლობაში  
 და ერთ დროს ვაჩაშინის ნაწერს ასე ეპყრობოდენ, მაგრამ  
 დრო შეიცვალა, ისტორიული მწერლობა წინ წავიდა, გადმო-  
 თარგმნეს ევროპიულის ენებიდან მრავალი შესანიშნავი ისტო-  
 რიები, ლუი ბლანი, დრეჰერი, ბოკლი, შიბელი, გერგინუსი.  
 დაიბადნენ პ. ლავროვი, შჩაპოვი, ბუტოვი და სხვანი და დღეს  
 კი ვაჩაშინი და მის მსგავსი მეისტორიები ჩალათ იქმნენ  
 აღიარებულნი და ვაჩის მეისტორიეთ წოდებულნი. მე არც  
 ბელინსკი გახლავარ, ამზე ბოდიშსაც მოვიბდი, მე იოსელიანს  
 არც შებას მიუძღვნი და არც ძაგებს, მე მარტოთ ცნობებს  
 მოვიყვან და მკითხველმა შეადგინოს თვისი დასკვნა ამ საკ-  
 ვლესიო პატრიოტ მეისტორიე მკრება-მუქდავზე. ეს თუ  
 დათვანდება თავის დროის კვალათ და თვის დროის დიარე-  
 ბით, თორემ სადაც დღეს დ. ბაქრაძის და ნ. სინანაშვილას  
 ისტორიული ნაწერები, იქ პ. იოსელიანი არავრათ ჩით-  
 ვლებს.

ბუგინი გაკვირვებით ამბობენ, რომ ქართველებს მეისტო-  
 რიები კი ბუგინი ჰყავთ და ისტორიები კი არსად აქვსო. ან  
 იოსელიანი რა იყოო, ან სხვები რა არიან, რომ მათზე წე-  
 რა დირდესო. მაგრამ ეს არ არის შესწენარისი. მე შემიძლია  
 ვსთქვა: როგორა მნიშვნელობაც დღეს ვასტანგ მეუის შრომას  
 აქვს, ვასუბტის, თეიმურაზის და სხვების, ისეთივე მნიშვნე-  
 ლობა აქვს პ. იოსელიანის ნაშრომებს ჩვენთვის. ამ სხლას-  
 ტიკურამ: კეთილ მოახრე საეკლესიო მეისტორიემ თავის მე-  
 ცადინეობით და ისტორიულის ცნობების შეკრებით საქართვე-  
 ლოს ერს საკმაჩისი სამსახური გაუწია. ამის შრომას თუ უყუ-  
 რ დღებოთ დაკტოვებთ, მაშინ ბრძანე, ჩუბინოვი, ცაჯარლის



და სსკათა ოფიციალურთა პირთა შრომანიც უეუჩ:დღებოდ უნდა დავტოვოთ. რადგანაც ამ ოფიციალურ პირებმა უფრო ბევრი ისარგებლეს ქართულის ენის და მწერლობის საშუალებით, ვიდრე ვ. იოსელიანმა. ზემო ხსენებულ პირებმა ამის მეორებით დიდს ორდენებს გარდა დიდი მამულებიც შეიძინეს, ფული, პატრივის ცემა და სხვანი და ვ. იოსელიანს კი ასე ვერ მოუხდა, თუმცა ამასაც ჰქონდა კ:ი დიდრონი ჩინები და ჯამაგიჩი, პენცია და შეძლება. თავის დროს არც ზემოხსენებული პირები იყვნენ ვ. იოსელიანზე უსახელონი. ამ პირებსაც დიდათ აფასებდნენ ქართველნი, დიდათ აფასებდა თვით მთავრობაც. რადგანაც ესენი თავიანთ მწერლობასაც ემსახურებოდნენ, თუმც ბრძაოთ, უსულაოთ, უხორცაოთ, უგულაოთ, მხალაოთ ფულის სიყვარულით, ფულისთვის, ჩინებ-ორდენებისთვის და მთავრობასაც ერთგულ სამსახურს უწევდნენ. „დრო ასეთი იყო“ . ამბობენ.

ბ. იაკობ გოგებაშვილმა თავის მშვენიერ ისტორიულს წერის „სპინძის ომში“ იოსელიანს შენიშნა, რომ იგი ერთის მხრით იყო ნამდვილი მამულის შვილი და მეორეს მხრით კი ჩინოვნიკი, მოსელეო, ეს შენიშვნა არამც თუ მარტოთ იოსელიანზე ითქმის, არამედ ყველა მის დროის ქართველ მოწინავე კაცებზე და მწერლებზეც. ვინ არ იყო ამ ქურქში გახვეული და ან ვინ რა სამსახური გაუწია თავის ქვეყნის განვითარების საქმეს, ეს ყველასთვის ცხადია, არავინ, არათურთ. ზოგნი თავიანთთვის ს:ლხინაოთ და სალალოოთ საარძიოა ლექსებს სწერდენ, ზოგნი ქადაგებაებს და უბრალო საქმის მკეთებლათ კი არსაიღამ არავინ სჩნდებოდა. ამ პირებს რომ თავიანთ დროსვე დაეწყოთ ჩვენის ერის საქმეებისთვის პატრონობა, დღეს ჩვენ ბევრათ წინ ვიქნებოდით წასული, მაგრამ ჩვენდა საუბედურაოთ ვიდრე ქართველებში ნამდვილი მოღვაწეები არ დაიბადნენ, შინამდის ქართველთ საერო საქმეების



პატრონობა ვი არა და ერთი უბრალო რიგიანი ანბანიც არ  
ქტონდათ.

პ. იოსელიანი დაიბადა 1809 წ. ქ. თფილისში, პირვე-  
ლათ ამას ასწავლიდა დავით რექტორი, გამორჩენილი კალიგრა-  
ფი, მეფეების დროს თელავის სემინარიის რექტორად ყოფილი.  
შემდგომად ამისა სწავლობდა იოანე ნათლის მცემლის მღვდელთან.  
1817 წ. თფილისში რომ სემინარია დაიხსნა, პ. იოსელიანი  
სემინარიის მასწავლებელი დაიწყო და სწავლებლის პირველ კლასში  
მიიღეს. აქ დაჰყო მან დრო და აქვე გაათავა სწავლა. პირველს  
ხანებში აქ მოსწავლეებს სწავლის მიღება ძირიელ უჭირდებო-  
დათ, რადგანაც უცხო ენების სწავლება მეტათ აჭირებდა სქ-  
მეს. მოწაფეებს ძველი, ხაძი ენების არაფერი ესმოდათ. მას-  
წავლებლებიც მოუმზადებულნი ყოფილან, ესენი მოწაფეებს  
ყოველთვის უსილსძლეობზე ესაუბრებოდნენ. ასეთ აზროვნე-  
ბის მექონ პირებმა ვერაფერი სიკეთე მოახდინეს მაშინდელს  
მოწაფეებზე და მათ ერთი ისეთი ქართველიც ვერ გამოზარდეს,  
რომ ის ათას ნაირ შეცდომებსა და ცრუ მოწოდებებში არ  
ყოფილიყო ჩავარდნილი! ამ პირთა მეორებით პ. იოსელიანი  
ისეთ ძველ მიძინათულების პირით გამოიზარდა, რომ როდეს-  
საც ეს სემინარიაში ფისიკის მასწავლებლათ დანიშნეს, იმავე  
დროს ეს ცხადათ ემოწინებოდა ბუნების კანონების წინა-  
აღმდეგ წესებს და ბევრს ნაირს საკვირველ მოქმედებთა ცრუ  
მხარეებს სინამდვილით აჭეშმარიტ ასაბუთებდა. ესეთი რწმენა  
მასში ისე იყო განცხროვლებული, რომ 1851 წ. იერუსალი-  
მის პატრიარქს საბერძნეთში ერთი ნაკურთხი ქვა გამოართვა,  
თან წამოიღო, საქართველოში მოიტანა და როცა ეკლესიის  
კეთება დაწყებინა, მაშინ ის ქვა საძირკველში ჩატანა, ძველ  
ქართველთა ჩვეულებისა მეხრ. პ. იოსელიანის ასე გამო-  
წურთვნა ჩვენთა ძველთა საღმრთო მამებს მიეწერებათ, ჩვენს  
ფაბრიციოებს და კატონებს. ამათ წინაშე ყოველს ახალს



სამეცნიერო საგნებს აჩაბურთი ძნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად ქიმიკა, ფიზიკა, ვარსკვლავთ მრეცხველობა და სხვანი სულ სახლ მანქანებსათ იყო მიღებული. ესენი ჰფიქრობდენ, რომ ეს მეცნიერების ისეთის შირებისაგან არის მოგონილი, რომელნიც საიქიოსა და სააქოსაც სულთა და ხორციით დაკარგულები არიან. ვ. იოსელიანი ამის მოხებით ისეთს მისტიკურს მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, რომ მან ერთსელსაქვეყნოთ უაჩი ჰყო მთელი ევროპის სახლი მეცნიერება და მეცნიერები. საგვირგეულია, სათრანგეთში, მეთვრამეტე საუკუნეში, იეროიტიების კოლეგიებმა გამოზარდეს მთელი დასის თრანგეთის სახლ მოაზრე რეფორმატორებისა, ასევე იქმნა რუსეთში, ჩვენში კი სულ წინააღმდეგ მოხდა, აქ არამც თუ სახლ მეცნიერების მოჩილი შირები გამოვიდენ, არამედ მტეჩნი, ამის შემჩვენებელნიც, ვითარცა ვ. იოსელიანი, რომ კაცობრიობა რენამა, დარვინმა, ბოუნსემა და სხვებმა დაღუბან. სემენარის სწავლის დამთავრების შემდეგ იოსელიანი გამომავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. 1829 წ. შევიდა კიდევ აკადემიაში ყოფნის დროს დიდთ მეცადინეობა და ღვთის მოყვარეობაში, ამას მეტათ ღვთის მოყვარეობით ეჭირა თავი. უკვლესაში ყოველს წირვან ლოცვას მუსლის მოყრით და შირკვრის წერით ასრულებდა, ლოცვითა და მსურვალის ვედრებით. აქ ყოფნის დროს მას დიდს დახმარებას აღვედნენ ქართველი ბატონიშვილები. რომელთა რიცხვი იქ იმ დროს ერთობ დიდი იყო და ესენი მეტათ მდიდრულათაც სცნოკრობდენ. ვ. იოსელიანი ბატონიშვილებისაგან დახმარებას გარდა იძენდა ძველ წიგნებს, ცნობებს, ნივთებს და ბეჯეს ისეთ რამეებს რაც იმ დროს იშვიათი იყო. სხვა ვინ რას იშოვიდა მათგან, რუსეთში იმ დროს ვ. იოსელიანს გარდა სხვან არავინ იყო მოსწავლე ქართველი. აკადემიაში ყოფნის დროსვე თეიმურაზ ბა-



ტონიშვილის თხოვნით სთარგმნა ქართულს ენაზე „ისტორია  
 ურუკელთა მწვანეებელთა ქრისტიანობისა ვიდრე დაწყებით დრო-  
 თა ჩვენამდე“. ეს თარგმანი ბრძანეს უნასავს. ამ დროიდან შეს-  
 ჩვევია მ. იოსელიანის რუსულად წერას და ქართულად თარგმნას.  
 საკვირველია აქ მხოლოდ ის, რომ ამან ასეთი წიგნი გადმო-  
 სთარგმნა, თვითქონს ქართულებს კი ცოტა ჭქონდათ ძველის  
 ძველადგანვე ასეთი ნაწერები, ან ტონ კათალიკოსის „მზა-  
 მეტუკელები“ ამას გარდა რას შეიცავს? 1831 წ. მ. იოსელიან-  
 მა გაათავა სწავლა, ღვთის მეტუკელების კანდიდატად გამოვი-  
 და მალე საქართველოში ჩამოვიდა და 1835 წ. ეს უკვე  
 თფილისის სემინარიისა თვისიკის, თფილისოთის და მღვთის  
 მეტუკელების მსწავლებლად შევიდა. ამან ძველი ენები ძრეულ  
 კარგად იცოდა და ამიტომ იმ დროის ქართველ მოწაფეებში  
 დიდთ შეცადინებდა ამ ენების გავრცელებას, გარდა ამისა მთ  
 ესაუბრებოდა ბერების ცხოვრებაზე, ძველ წიგნებზე ეგვიპ-  
 ტიისზე და სხვანი, იმ დროის სემინარიელების მეხსებით  
 ამან ძრეულ ბევრი წიგნები იშოვა, ბევრი ძვირფასი მსაღე-  
 ბიც, ამკვე დროს იშოვა მან საქართველოს ისტორია, უცნო-  
 ბის დაძწერის, თფილისის სემინარიის სემინარიისაში, რომე-  
 ლიც მამინათვე შეტერბურგის აკადემიას გადასცა და დღეს ეს  
 ისტორია აღწასად სჩანს.

მსწავლებლად შესულის დროსვე მოჭკიდა სელი მ. იოსე-  
 სელიანმა საქართველოს ისტორიის მასალების კრებას, მასა-  
 ლების კრებას გარდა წიგნების დაბეჭდვაც დაინასა საჭიროთ და  
 1837 წ. ამან დაბეჭდა თფილისში ჩასრუსადის და შავთელის  
 შესემანი თამარ მეფისადმი. ამკვე წელს ამას მიანდეს საეკლესიო  
 გუჯრების გაძინჯვა და გაცნობა, ამან გაძინჯა, გაიცნო და  
 თავის ჭწერი შეტერბურგის სინოდს წარუდგინა, ცნობები  
 დიდთ მოიწონეს და ამის გამო მადლობა და ჟილდო მიიღო.  
 ამ ცნობების საშუალებით ეს ცნობილ იქმნა როგორც ერთ-



გული ქვეშევრდომი რუსეთისა და მასთანვე საჭარო პირი საქართველოში, ამას შემდეგ მას მიანდეს მცხეთის ტაძრის წიგნთსაცავის წიგნების გაშინჯვა და კატალოგის შედგენა, ამან მალე აღსარულა დავალებს და მთავრობას წარუდგინა, რანსაგამო 1839 წ. მთავრობისაგან ჯილდოც მიიღო. ამ დროს აღმოჩნდა ამ წიგნთსაცავში ის ძველი წიგნი „რძმლოგი“ რძმულიც ვახუშტ ბატონიშვილს ჰქავებოდა ხელში თავის შრომის დროს. დღეს სად არის ეს წიგნი ვაწყდა არ იცის? ამავე დროებში იოსელიანი მუშავობდა ქართული გრამატიკის შედგენასე და 1841 წ. ქ. თფილისში ცალკე წიგნათაც გამოსცა. ამით ვ. იოსელიანმა ქართველებში დიდი სახელი მოიხვეჭა. დიდ მოკლენათ ჩაითვალა, რადგანაც გრამატიკა კი არა და იმ დროს ქართულს ენახედ უბრალო ანბანიც არ იყო. ვ. იოსელიანისაგან იმ დროს ქართული გრამატიკის დაბეჭდვა კაი საქმე იყო, მაგრამ ამ კაი საქმეს ის უბედურება დაჰყვა თან, რომ ის გრამატიკა იოსელიანისებურის ჯვარცმულის ენით იქმნა შედგენილი, ისიც ისეთის წესდებით რაც არც ერთ რიგან ჰედაგოგს, ნამეტურ გრამატიკოსს არ შეჰტურის. ქართველებს სინარული მალე გაუცრუვდათ, გრამატიკა ისეთი ვერ აღმოჩნდა, როგორც უნდოდათ. ეს მასინათვე მიიღეს სემენარიაში და იქ ამით ასწავლიდენ მოწაფეებს, მაგრამ როგორც ვამიგია, სწავლებით კი არავინ რას სწავლობდა, რადგანაც საეკლესიო ენით კითხვა და წერა სტანჯავდა მათ: ვ. თფილისოფოსი თავის გრამატიკით იმ უბრალო ჭეშმარიტებადღეც ვერ მივიდა, რომ მასინ საეკლესიო გრამატიკა კი არ იყო საჭირო, რამედ ახალის რიგანის ენით დაწერილი, იმ ენით და იმ ენის კილოთი, როგორც ხალხი ლაპარაკობდა. ამას ეს არ სურდა, ძველის აღორძინება უნდოდა, ეგონა ქართული ენა ამით გაბრწყინდებოდა, ეგონა მას რომ ენა გრამატიკისაგან შესდგება და არა გრამატიკა ენისაგანაო. იმ დროებში ახალს ც არსად ასწავლი-



დნენ და ამა ძველი ერთ დაწერილს გრამატიკას რაღა მნიშვნე-  
ლობას მისცემდნენ.

სწორეთ ამის მეორეა იყო, რომ იოსელიანმა ეს გრამატიკა 1841 წ. 1863 წ. მხოლოდ ორჯერ დაბეჭდა. სწორედ ამ დროს ჩვენში დიდი კამათობა იყო ზოგიერთი ქართული ასოების უმნიშვნელობაზე და მათ მოსპობის საჭიროებაზე. ამ დროს დ. ბაქრაძემ საქვეყნოდ აღიარა, რომ მე ძველის ერთ დაწერილი გრამატიკა და წერილები ჩაღათ მიმაჩნიათ. ამის გამო ცოტა უსიამოვნებაც ჩამოვარდა, იმ დროის საზოგადოება ორ დღესათ გაიყო, ერთმანერთის წინააღმდეგ მოქმედებდნენ და ბოლოს ამით „ცისკარში“ ერთმანერთზე წერაც დაიწყეს, ქართულ გრამატიკის ბეჭდვას იოსელიანმა 1841 წ. მოაყოლა პატარა ქართული კალენდარიც. ქართული კალენდარი საქართველოში პირველი საქმე არ იყო, მაგრამ სახალხოთ გამოცემა კი პირველი იყო, იმ დროს ეს სახლისთვის დიდს საჭიროებას შეადგენდა, მაგრამ საუბედროთ აქაც, ამ პატარა წიგნშიაც იოსელიანმა თავის ძველის მოკვარება გამოიჩინა, აქაც თავის ბეჭდარის ერთ მისწვდა წერას. ნუ თუ აქაც ეს იყო საჭირო! ამას პ. იოსელიანმა სულ არ მიქცია უუკად-ღება და სწორეთ ამისივე მიზეზი იყო, რომ იმ უდროვობაში და კალენდრის საჭიროებაში ქართველ ერმა სულ არ მიიღო ეს კალენდარი, ენის გამო სულ ვერ გავრცელდა, უმეტესი ნაწილი გაუყიდავი დარჩა და საქმე იმაზე მიუვიდა, რომ მომავალ წელს ამან ეს ველარ გამოსცა. ამას რომ კალენდარი რიგიანის ერთ დაეწერა და საჭირო ცნობებით, მაშინ იგი მთელს საქართველოში გავრცელდებოდა და სახლსაც დიდს სარგებლობას მოუტანდა, დღეს ჩვენში წერა-კითხვა ერთობ წინ იქნებოდა წასული. მაგრამ ეს ვერ მოახერხეს.

გამიგონია, რომ პ. იოსელიანს ბევრი ასმენდენ ხოლმე, რომ მაგ ერთ წერას თავი გაანებო, მაგრამ იგი კი მაინც



თავისას არ იშლიდა. საღისის საეკედური და მუნათები მის  
აი უნძი:ც არ მოსდიოდა. ეკელას ბრეეებს უყვიროდა და  
თან ლათინურსა და ბერძნულს ფრანგებს:ც აყრიდა! ერთის  
მხრით ესეც იყო იმის მიხეზათ, რომ ვ. იოსელიანს ფილოსოფი  
უწოდეს, ამ დროების წინეთ, თფილისში შესდგა ზატარა  
წრე, რომელთაც სურდათ ქართულს ენაზე წიგნების წერა და  
ბეჭდვა, სხვათა შორის განიძრახეს საქართველო ისტორიის  
დაწერაც. ისტორიის დაწერა რამდენიმე კაცმა განიწყილა, ძვე-  
ლი დროების დაწერა ვ. იოსელიანს აკუთვნეს. ხალხ დროის  
წერას ეკელა ჰკიდებდა ხელს და ძველს კი არავინ. ნ. ბარა-  
თაშვილმა სთქვა, რომ მაგის დაწერა ჩვენს ძღუთის მეტეეკელს  
კაკუთვნოთო. კრება დაიშალა, აქეთ იქით წავიდნენ და ლ. მა-  
ჩავი მოგოდ ქართულ ლაზარავათ დაშთა და არავინ რა დას-  
წერა, საქმე იმით დაბოლავდა, რომ ვ. იოსელიანმა 1842 წ.  
ერთი ზატარა ქართული ანბანი დაბეჭდა, მთელს საქართველო-  
ში წიგნის ჭაჭანება არ იყო, დაბეჭდილი წიგნები სიზმრათ  
ეხვეებოდა სოლმე ხალხსა, ეს ასე იყო ისეთ საღისში და მსა-  
რეში, სადაც ჩვენთა კეთილ შობილთ შვილებთაგან გლებები-  
საგან ზთასობით გამოჩთმეული ფულები ბზესავებ იზნეოდა ჭ-  
ღვინო წყაღვიით იღვრებოდა. ვ. იოსელიანმა ანბანის დაბეჭ-  
დვითაც კაი სახელი მოხვეჭა და ანბანის მიღებული იქმნა  
აქა იქ სახმარებელ წიგნათ. ამ ძველებურის კილოთი ანბანის  
საქმე ისე წაუვიდა, რომ 1842 წ. შემდეგ ბარე რვა ცხრე ვერ  
დაბეჭდა.

მლე ეს აირჩიეს საქართველოს სინოდალური მსა-  
მართველოს წარმომადგენელად. ამ დროებში ვ. იოსელიანი  
გაცსარებული მუშაობდა საქართველოს საეკელესიო ისტორიის  
ცნობებზე, მალე მთავრობას თხოვნა მისცა „ზაკავკასიის ვესტ-  
ნიკის“ გამოსაცემათ. ნება რთვა მიიღო და გამოცემა 1846 წ.  
იანვრიდანაც დაიწყო, შირველი მაგალითი იყო, რომ საქარ-



თულოში ქართველ ვაცს რუსულს ენაზე ვაჭეთი გამოცდა  
ვაჭეთში ვ. იოსელინი უმეტეს ნაწილს ისტორიულს წერი-  
ლებს ბეჭდავდა, მაქართველად შესასებ, უფრო კი საეკლესიოს,  
ყოველი ცნობა და საქმე ეკლესიისა ამას უყუარდებოდ არ  
შეთებდა. ბევრი ამის ნაწილები პირველად აქ დაბეჭდნენ და  
მერე ცალკე გამოიცენ. სხვათა შორის აქ დაბეჭდილია სოგი  
ერთი ისეთი განცხადებანი, მართველობისაგან, სადაც გამოცხა-  
დებულა, რომ ამას და ამ დღეს ამას და ამ პირის ვაღში ვაის-  
უდებოან მის ყმათა ამდენი კომლიო, რომელშიაც ამდენი მა-  
მაჯაცია და ამდენი დედაკაციო. სუეველს ესენი თავიანთის  
უძრავის და მოძრავის ქონებით ამდენ ფასათ არიან დაფასე-  
ბულნიო ეს ცნობები მოყვანილია როგორც მართველობისაგან  
ნაბეჭები, თორემ ვ. იოსელინი სხვა რამ ცნობებს არ მოი-  
ყვანდა ამის შესახებ, რადგანაც ესეც ისეთის შეხედულების იყო  
ჩვენებურს ძველს წეს-წყობილებასე, როგორც სხვა ჩვენი  
ძველი ძწერლები. საკვირველი იყო ის, რომ ბევრი ჩვენი  
ძველი ძწერლები ძღვთის მოყვარენიც იყვნენ, ყოველთვის მარ-  
ხულად იყვნენ, ეზიარებოდნენ, ღოცულობდნენ და თავიანთ დამო-  
ბეზულსებების შესახებ კი არას ფიქრობდნენ. ძღვთის მოყვა-  
რეობაც რომ არ ჰქონიოთ, იგინი პოლიტიკურს გარემოებს  
მაინც უნდა დაეფიქრებინათ და გვარტომობის მეორებით მაინც  
უნდა ეფიქრათ რამე, ეს მით უფრო, რადგანაც ბევრნი ამ  
ცნობებულ მამებისა ქართულს ენაზე ლექსებსაც სწერდნენ და  
სშირად საქართველოსც ახსენებდნენ. ამდენი ამდენი  
მაგრამ ამის მოსახრება კი არავის რა ჰქონდა, რომ  
საქართველოს ხსენება და ბედნიერება მხოლოდ საქართვე-  
ლოსავე მონების განვაცებსა და განათლებასი დასევენებო-  
და, რომ საუკუნოების განმავლობაში დავარდნილი მშრომელი  
ერთი ფეხზე დამდგარიყო და იმას მიეღო ის უფლებებითი  
მხარეები, რაც მის საკუთრებას შეადგენდა და ქართველთათვი-



სადა აუცილებელს საჭიროებს მოითხოვდა. საუბედუროდ ამას ჩვენი სამღვთო მამები არ გრძნობდნენ. ამისთვის არც პ. იოსელიანი გრძნობდა რამეს და დარდობდა, ამისთვის სულ ერთი იყო, როგორი სამეფო და სოციალური წეს-წყობილებაც უნდა ყოფილიყო. მთელს თავის ნაწერებში ეს არსად კრინტს, სიტყვასაც არ იძახის ამის შესახებ, მხოლოდ ერთ ადგს მოიხსენებს, რომ ესა და ეს თავადის შვილი თავის ყმაძმ 1810 წ. აკათავს. ეს არის ერთათ ერთი ცნობა პ. იოსელიანის, რომელიც ამ საგანს შეეხება, ამას ბევრი რამ ცნობები ეტოდინებოდა, ბევრს თავის თვალითაც ნახავდა, მაგრამ ამასე მას არსად არათფერი აქვს. ყმები და მონები თვით იოსელიანსაც ჭყავდა, მაგრამ ეს ისე მაინცა და მაინც არა სტანჯავდა და აწვალებდა თავის მონებს, როგორც სხვებმა იცოდნენ. ეს ყმებში მხოლოდ ფიცხი კაცი იყო, ყმებს დარბილებას აძლევდა, ერთხელ, ორჯერ ეტყოდა რამეს, თუ ყმა არ გაიგონებდა ამის დარბილებას, მეტე ახლსაც არ მიიკრებდა. გამწყურალი დაუყვირებდა: ვირო, ვირო, როდემდინ უნდა იყო გაუნათლებელი. ერთ დღეს პ. იოსელიანი და თავის მოურავი ერთ ალაგს უნდა მისუღიყვნენ, რადგანაც იქ მიწებს ზომავდნენ მთავრობის კაცები, მოურავი პ. იოსელიანის ყმა იყო და ამას ყოველთვის ყიტოს ეძახდა. რადგანაც ამას მეტათ ძუნწ კაცათ იცნობდნენ თუჩმე. და იშხუეს დროს ბატონი თავის ყმებით მოურავზე წინეთ მოსულა აღნიშნულს ალაგს, ვიდრე მოურავი მოვიდოდა, მინამდის პ. იოსელიანი ერთ ჯაგს მოჭოვარებობა და დაუსვენია. მოურავი მოსულა და ამას ბიჭები დაუნახავს და ბატონი კი ვერსად ძრიელ განარებობა ბატონის იქ არ მისვლას და ბიჭებისთვის დაუყვირნია, — ბიჭებო! განა ჩვენი დიდი ვირიკი არ მოვიდა აქამდის? პ. იოსელიანი წამომდგარა, მოურავს გაუგია თუ არა, რომ ბატონი აქ არისო, ეს



გაქტეულა, უგან ვ. იოსელიანი გამოსდგომია და დაუწევია უვირილი:

— ჟიტო, ჟიტო, მოდი, ნუ მიხვალ, ღმერთი, რჯული, აწას გეტყვი. აწას გეჩი და სსვანი. ბოლოს მოუწავი დაუჭეჩიათ და ბატონთან მოუყვანიათ, ყმას ბოდიში და პატრონს მოუხსენებია და ბატონსაც უპატიებია. საქმე ამით გათავუბულა. საღამოზე ბატონი სახლში წასულა, სახლში წვეულებას ქქონია გამართული, ამას ხალხში ლაპარაკი დაუწევია, რომ დღეს ჩემმა ყმაძი ასე ასე მიწოდარ.

— ძეგე, თქვენ რა უყავით? — ჭკითხეს გენიებში, გენუენებში და აწნაურებში.

— აწაგეჩი! მიუგო იოსელიანმა.

— როგორ თუ აწაგეჩი, ეგ ქვენი შეურაცყოფა აჩის! ჩვენი სისხლისა და სოფლის აბუჩად აგდება. ჩვენი მასს:რობა და სსვანი. დღეს მაგან ქმნა ასე, მკვალ მაგის მიბამვით სხვები იზავენ უარესს. გთხოვთ, რომ ის კაცი სასტიკათ დასაჯოთ, არ აპტიოთ.

— რა უყო, როგორ დაესჯო? ჭკითხა პლატონმა.

— პირველათ აცემინე, სასჯელი წაართვი, შვილები დაუყიდე და ძეგე სამართალში მიეცი, რომ სასტიკათ დასაჯონ, მიუგეს ბატონ-ქალბატონებმა.

— აი უფრო დიდი ვიჩები! კარგი, მე რომ ეგ ავიგლო და ავანიაყო, იმით მე რა მომეძატება. ან ის ისწავლის რამეს, ვსთქვამთ, ის ვიჩია და იმის ამბობს რაც არ ესმის, თქვენ ხომ ვიჩები არა ბრძანდებით, მაგებს რას იძახით! ეგენიც ხალხნი არიან, ძღვთის შვილები.

— არა მე მაგას ვერ ვიზავ. მიუგო იოსელიანმა, და ყველა დაამშვიდა. ასეთის თვისების იყო იოსელიანი ყმებზე და ბატონ-ყმობაზე, ამას სურდა, რომ მონებსაც ყოფილიყო, ყმობაც, დიდ-პატარაობაც, მაგრამ დაჩაგვრა და ბოროტება კი მას-



ში მომლოცვეული უნდა ყოფილიყოს, რადგანაც ჩვენ ქრისტიანები ვართ და ქრისტეს გენასს ან შეჭყეობის ესაო. ვ. იოსელიანის მხრით ესეც კაი საქმე იყო იმ უღრმგობაში, რადგანაც ასეთ თვისებებს სხვებში ერთობ იშვიათად შეამცნებდა, არც არავინ შეძენევი იყო ამისა, ზოგიერთებმა სთქვას, რომ ვ. იოსელიანი სხვა პატარებსაც აფრთხილებდა სოფელში, რომ ბიჭო, კაცო, რიგინად მოიქეცითო. ამ დროებში ვ. იოსელიანი სწევდა გიორგი მორჩავის ცნობებსაც, ანტონ კათალიკოსის, ქვათა სვეის მონასტრის აღწერას და სხვებს. რამდენიმე თავის ნაწილები 1842—1843 წ. სპინისტროს ყურნალში დაბეჭდა, რაზედაც მთავრობისგან მადლობა მიიღო და ახნას პირველი ხარისხის ნიშანი. რამდენიმე ხნის შემდეგ „დიდი მორჩავი“ ცალკე დაბეჭდა და ერთი ეგზემპლიარი იმ დროის მთავარ მართებულს მიართო. მთავარ-მართებელი გაკვირვებულა დიდ-მორჩავის დონიკრებაზე და პლატონისთვის უთქვამს.

— შენ ცდილობარ, რომ იგი კაი კაცთა გამოგვევანა, მას ბევრი კაი კაცობა და ოსტატობაც ეტყობა, მაგრამ მასთანვე იმდენი შეცდომაც, რომ მის კაი საქმეებს მის შეცდომები სრულიად ჭთარავენ და მე მიკვირს, რომ შენ ასეთი პირის აღწერა და ქება გაბედე. მთავარ-მართებულს ეს უთქვამს, მაგრამ როგორც ჩვენ ვიცით ვ. იოსელიანს დიდი მორჩავის ქება და გამართლება ჰპირათაც არ ჰქონია. ამ ხანებში ვ. იოსელიანი უკვე რუსეთშიაც ვი იქმნა საკმარისად ცნობილი, რადგანაც ამან 1841 წ. პეტერბურგში, რუსულს ენაზე, საქართველოს საეკლესიო ისტორია დაბეჭდა და ეს ისტორია მთელს რუსეთის სემინარიებში სახმარებლათ მიიღეს. ამას ბევრი რუსის მეისტორიებისგან მოსდიოდა წერილები, რომლებითაც მას საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ მასალებს სთხოვდნენ. ამ ისტორიის წერა მას 1834 წ. დაუწყია. ამის შემდეგ-



ნისთვის ცხადი საქმეა, რომ ეს ბეგონი შრომას ნახავდა, რად-  
განაც მის ღრმადის საქართველოს საეკლესიო ისტორიის ცალ-  
კე არ იყო შედგენილ დაბეჭდილი. ამ წიგნიდან სჩანს, რომ  
მ. იოსელიანი საქართველოს შესახებ აი რა აზრზე მდგარა:  
ჩვენს ქვეყანას თუ რამე მიენიჭა ძველათ და იგი თუ ამაღლდა  
რამით; ეს სულ ქრისტეს საწმინდოების ძალით მოხდა; ბე-  
რების ლოცვა-გუგუთხეობით, მონასტერ-ეკლესიების შენებით და  
სხვანო. ყოველი ცნობა რაც კი ბერ-მონაზონების და სხვე-  
ბის უკან ვრდომას შეეხება და მოსახობას, იგი ამაში ხედავს  
საქართველოს უბედურების დასაწყისს. ყოველს წერილში ეს  
დიდი თანა მოაზრება მართლ-მადიდებელ ეკლესიის წესების,  
ამას ეკლესიური მოსწონს, სატეების მოხვევა, სამთლით ვაჭრო-  
ბა და ნთება, ღამის თევა, მღვდელმთავართა დიდის ცერემო-  
ნიით წირვა ლოცვის გადახდა. ვინც ამის წინააღმდეგ წავა, ის  
მტერია თავის თავისა, სიწმინდისა, სიმშვიდისა, სისუფთავისა,  
ღმობიერებისა, ცხოვნებისა და სხვანი. საუბედურათ ასეთი  
საღსი ეკრძაში გამრავლდა, სადაც ეკლესიური ამოვარდა,  
მღვთის პატრის ტემა, ეკლესიისა, მღვდელ-მთავრების, სატეების,  
მარხვის და სხვანი. უეკლესიო ცხოვრება—უსჯულაება არის,  
უტიგო, უსჯულა ცხოვრება კი—შეუძლებელია. მისგან ითესება  
ყოველი ბოროტება და ჩვენდა საუბედურათ ეს სენი ჩვენც  
გადმოგვადლო. ჩვენ უკვე მოვესწართ იმის დასაწყისს, რომ  
ეკლესია ამების დაზრდობა ქართველებში ამგარათ გამოსჩნდა!  
მღვთისა და ხელმწიფის უარყოფა ქრისტეს მოსავ ენს არ  
შეეფერება, ბერებისა და მღვდლებისა, ეკლესიებისა და მო-  
ნასტრებისა. ქრისტეს გარეშე ვაწი არაფერია, ეშმაკია, ეშმა-  
კი, ჯოჯოხეთი და სატანა. ეს სულ ეკრძაის მეტნიერების  
ბრალა. მათ შემუსრეს ეკლესიური, მათ იმანქანეს ეკლესიურ-  
ზეო. რასაც ეს სიტყვით და წერით მარტავდა, ისეთივე იყო



მასწავლებლების დროს, ეს ყოველს მოწაფეს გულში საყოველთაოთ მღვთის შიშს უნერგავდა, სკლამწიფების, ეკლესიის, სამღვდელთების, ღოცვის და სხვა ქრისტიანურს წესების, ნამეტურ მართლ-მადიდებელ ეკლესიის პატივისცემას.

დასამტკიცებლათ იმას, რომ ეს ასეთის მღვთის მოყვარეობით იყო სავსე, იქიდადაც სხანს, რომ 1847 წლების შემდეგ ქართველებში საქვეყნოთ დაიწყო ლაშაჩაგი, რომ ქართველებში ძველი წესები ვარდება, საწმინტოება. ამიტომ საჭიროა, რომ ძველი წიგნები დაიბეჭდოს, რომ კვლავთ გამტკიცდეს ამის სიყვარული და პატივის ცემა. იმ დროის ქართველებმა ამის მუდარებას და თხოვნას უუარადღება მიუქციეს და მალე 1000 მ. შეკრიბეს და მისცეს წიგნების დასაბეჭდათ. ამ ფულისით მან დაბეჭდა 1) იონა წყისის მიტროპოლიტის მოწაურება, 2) ტიმოთე მთავარ ეპისკოპოსის მიმოსვლა, 3) არჩილიანი, 4) წყობილი-სიტყვაობა, ანტონ კათალიკოსისა და 5) დიდ-მოუწავიანი, ლექსად, ქმნილი მიტროპოლიტის სააკაძისაგან. ამ წიგნების დაბეჭდვა იმ უწიგნობაში ძრეულ დიდი საქმე იყო, დიდი მოკლენა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ხალხმა კი ვერაფრით ისარგებლა. არ ვიცით, ვისთვის დაბეჭდა ამან ეს წიგნები? ხალხი ამ ენით დაწერილ წიგნებს არ წაიკითხავდა და არც იკითხეს, ისევ ისე უწიგნოთ დაშთნენ და ამას კი ხელშიც არ იღებდნენ. მთელი გამოცემები მის სიკვდილამდის შინ დაშთნენ უძრავათ. მასშინ საჭირო იყო ქაფუაყიანის, არსენას ლექსის და ასეთი წიგნების ბეჭდვა, რითაც ხალხი კითხვას შეეჩვეოდა და არა ასეთი ძველარი წიგნები. 1000 მან. ბევრი რიგიანი სახალხო წიგნი გამოცემოდა მასშინ და იგინი ასჯერ მეტ სარგებლობას მოიტანდნენ, ვინემც ზემოსსენებული წიგნები, რა საჭირო იყო ამავების სახალხოთ გამოცემა ამ წიგნებს ჩვენ დღესაც დაბეჭდავდით, რომ საჭირო იყოს. 3. იოსელიანს და სხვებს თავიანთ დროის კვლავთ ბევრი რამ,



შეკლავთ, რომ გაეკეთებინათ სასაღმრთო და მის მეორესით ჩვენი ხალხის კითხვის ცოდნის ზომა დღეს ერთობ წინადა იქმნებოდა წასული, მაგრამ ეს არ ქმნეს მათ, მათ დიდი სახიანჯარო ქართველი ხალხი და ხალხის საქმეც უარი ჰყუებს და განზე გადაგნენ. ამათთვის ხალხისი მხოლოდ საფრთხეა იყო საჭირო და არა გასანათლებლათ. ჩვენმა დიდმა კაცებმა ხალხი და ქვეყანა ფულზე გასცვალეს.

3. იოსელიანის თავის საეკლესიო წერილების წერით და ქადაგებით საქმე ისე ბრწყინვალეთ წაუვიდა, რომ მთავრობამ მასში დიდი ნიჭი და ძალა დაინახა, ამას აკუთვნეს ისტორიკოსის სახელი, დიდ პატივს სცემდენ ეგზარქოსები და სამღვდელმთავრნი, ქართველნი უთხრო. ამის მეორესით მან მთავრობას დასძაბუნა სთხოვა და ამის საშუალებით გაემგზავრა ათონის მთის ივერიის მონასტრის წიგნთ საცავში ქართული წიგნების გასაცნობათ მგზავრობის დროს ეს იყო ტრაპიზონში, აქ ამან ერთ ეკლესიასზე ქართული წარწერებიანი ქვა ჰპოვა. ძალე სტამბოლში მივიდა, ეს მიიღო რუსის კონსულმა, დიდის პატივით. აქ ამან ნახა სუთლანი, იქიდან წავიდა ივერიის მონასტერში, იქ გაშინჯა ყველაფერი, წიგნების კატალოგი შეადგინა და ძალე დაბრუნდა საქართველოში, თან წამოიღო სრული თარგმანი ძველის „დაბადებისა“ რომელზედაც შესწორებულ იქმნა 1744 წ. დაბეჭდილ მოსკოვში. ეს ხელნაწერი XI საუკუნისა არის და ბევრ ნაწილის მხრით არას საყურადღებო. მგზავრობის დროს იოსელიანმა ნახა სტამბოლის ბერძნების პატრიარქი. პატრიარქს ბევრი რამ ესაუბრა, ბოლოს საქართველოს შესახებ ცნობები ჰკითხა, თუ სადმე თქვენს ძველს წიგნებში ქართველებზე იქმნება სწერის რამე? — პატრიარქმაც უამბო, სახელები უთხრა ყველა იმ წიგნების, სადაც ვი რამე მოიპოვებოდა ქართველების შესახებ, ნამეტურ ეკლესიის ისტორიის, ამის საშუალებით ამან ბევრი იშვიათი ცნობა შემოიტანა ჩვენს



მწერლობაში. შემდგომ ამისა ნახა ბერძნების კოროლი. როცა წაასდგა ამასთან, კოროლი უთხრა:

— მე, ძრეულ მესამოვნა, რომ შენ, მშვენიერ ქვეყნის, საქართველოს შვილთა წარმომადგენს გსედავ. დიდი ხანია მინდოდა ქართველი ვაწის ნახვა და აი გნახეთ გიდევატ. ვ. იოსელიანმა იფიქრა თურმე, საქართველოში ყველა გი ჩემისთანები არ ეგონოს. ვეტყვი რამეს და უთხრა:

— ჩვენს მშვენიერს საქართველოში ყველა ჩემისთანები არ ეგონოს, დიდებულა, მოგესხებთან, რომ გვარში ერთი მახინჯი არ დაილევს.

ამბობენ, რომ ვ. იოსელიანს ეს აქ ცოტათ მოუგონოს, რადგანაც ვ. იოსელიანს რუნჯობა ძრეულ უევაქდა. ამის თქმასე კოროლს დიდათ გასცინებია და ძალე ლაპარაკი დაუწყია. კოროლს საქართველოს შესახებ, ცნობები გამომუგითხავს, განსაკუთრებით ძველი დროების, მეფეების, წიგნების და იმ ძველის დახადების, რომელიც იმ დროს ვ. იოსელიანს თან მოჰქონდა. კოროლის ნახვის შემდეგ ეს დაბრუნდა საქართველოში და 1850 წ. საქართველოში მოვიდა, თავის ვახუთში დაიწყო წერა, როგორც მოგზაურობის შესახებ, ისევე საქართველოს ისტორიის ცნობების. ძალე ამან დაიწყო საქართველოში მოგზაურობა. დაშინჯა ძველი ადგილები, მონასტრები და ეკლესიები, ბიბლიოთეკები, ძველი წიგნები, ძველი თავადის შვილის ოჯახები და იმათში დაჩხენილი ძველი სელთნაწერი წიგნები. ამ დროებში და წინეთაც ამან ბევრი შესანიშნავი მსალეები იზოვნა, სხვათა შორის მეტათ იშვიათად საშოვნელი წიგნი „სავანე გმირთა“. რომელიც ერთ მწიგნობარ ბერს დაუწერია XVII საუკ. ქებათა და დიდებათ იმ ქართველ გმირების, რომელნიც გი ოდესმე ომებში დახორცილან და საქართველოსთვის თავი დაუდვიათ. ეს წიგნი ისტორიულს ცნობებს გარდა ჰელოვნების მხრითაც ძვირფასია ჩვენს მწერლობაში, მაგრამ



